პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ოთხშაბათი 30 აგვისტო, 1978 წ. № 203 (17247) ფასი 2 კაპ.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

საგარეჯოს რაიონული დახუნძლული ზვრები

● იქნება 25.000 ტონა ყურძენი — საზოგადოებრივი მეურნეობიდან — 16.200 ტონა. საკარმიდამოდან — 8.800 ტონა

— გვპირდებიან საგარეჯოელები

საგარეჯოს რაიონის მევენახეები კარგა ხანია იმზადებიან რთველის ორგანიზებულად დაწყებისათვის, გაიმართა რაიონის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების თათბირი, შემუშავდა ყურძნის კრეფის გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც გადაწყდა რთველის დაწყების და დამთავრების ვადები. რთველი უნდა დამთავრდეს 10-12 სამუშაო დღეში, ყურძნის კრეფაზე ყოველდღიურად 2.500 კაცი იმუშავებს, თითოეული მკრეფავი დღეში 800-1.000 კილოგრამ ყურძენს მოკრეფს.

რაიონის მევენახეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა სახელმწიფოს მიჰყიდონ 25.000 ტონა ყურძენი. გეგმა კი 24.100 ტონას ითვალისწინებს. წლეულს 11,5 ათასი ტონით მეტი ყურძენი მიეყიდება სახელმწიფოს, ვიდრე შარშან.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში დიდ წვლილს შეიტანს მოსახლეობა. **საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფო მარანში 8.800 ტონა ყურძენს მივიტანთ.** მარტო ჩაილურის სასოფლო საბჭომ ვალდებულება იკისრა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 590 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდოს 900 ტონა ყურძენი. ჩაილურელებს რაიონის ყველა სასოფლო საბჭომ მიჰბაძა.

ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. მეურნეობა 2.835 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდის 2.900 ტონაზე მეტ ყურძენს, ჩაილურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა 100 ტონის ნაცვლად — 800 ტონას, კაკაბეთის კოლმეურნეობა 1.030 ტონის ნაცვლად — 1.400 ტონას, კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ 800 ტონის ნაცვლად — 900 ტონას, ნინოწმინდის კოლმეურნეობა 650 ტონის ნაცვლად — 800 ტონას.

ყურძენს ღვინის ქარხნებში 300 ავტომანქანით ვადაზიდავენ. ყოველდღიურად სახელმწიფოს მივყიდით 2.000 ტონაზე მეტ ყურძენს.

მოწყობილია მკრეფავებისა და ტრანსპორტის მუშაკებისათვის დაწესებულია წამახალისებელი ჯილდოები — გარდამავალი დროშები, ვიმპელები, ფასიანი საჩუქრები.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები და ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები ძირითადად მზად არის. მაგრამ თქმა იმისა, რომ ხარვეზები არა გვაქვს, სწორი არ იქნება. სწორედ რთველამდე დარჩენილ დროში უნდა მოვასწროთ ნაკლოვანებათა გამოსწორება. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეენახების რწყვა, ზვრებთან მისასვლელი გზების შეკეთება, ყურძნის საკრეფი ინვენტარის მომარაგება, ტრანსპორტის გამართვა.

ჩვენს მეზვრეებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ, 25 ათას ტონა ყურძენს უთუოდ მივიტანთ სახელმწიფო მარანში.

მ. მეზვრიშვილი,
საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.



სურათზე: კოსმონავტები (მარცხნიდან) კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, გიკოვსკი და ივინი ორბიტულ კომპლექსში.

საკავშირო ფოტო (სურათი მიღებულია ტელეკოსმოსური კავშირით).

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“:

მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი

ფრუნზის მართვის ცენტრი, 28 აგვისტო. (საკადეს). დღეს კოსმონავტების ვლადიმერ კოვალიონოკის, ალექსანდრე ივანჩენკოვის, ვალერი ბიკოვსკის და ზიგმუნდ იენის სამუშაო დღე „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევის კომპლექსში დაიწყო 12 საათსა და 30 წუთზე და გასტანს 23 საათამდე მოსკოვის დროით.

სამედიცინო კვლევის პროგრამით „სოიუზ-31“ ხომალდის ეკიპაჟი ასრულებს „ულ-სისხლძარღვთა სისტემის კომპლექსურ გამოკვლევას „პოლინომ-28“, „რეოგრაფ“, „ბეტა“ აპარატურის დახმარებით. გამოკვლევის დროს აღირიცხება ელექტროკარდიოგრამა, რეოგრამა, ბალისტოკარდიოგრამა და სხვა მაჩვენებლები.

დღეს დაგეგმილია „შენაერთობისა“ და „კრისტალის“ დანადგარებზე მოეწყოს კოსმოსური მასალათმცოდნეობის ტექნოლოგიური ექსპერიმენტები „ბეროლინი“. ეს ექსპერიმენტები ერთად მეიმუშავეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დეოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროგრამაში შედის სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ ერთად მომზადებული ექსპერიმენტები ბაქტერიებისა და ქსოვილთა კულტურის განვითარებაზე კოსმოსური ფრენის გავლენის შესწავლის მიზნით.

კომპლექსის ეკიპაჟისათვის დაგეგმილია აგრეთვე სატელევიზიო რეპორტაჟები, კინოფოტოგადაღება, ფიზიკური ვარჯიში ელექტროგომეტრსა და კომპლექტორულ ტრენაჟერზე.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტული კომპლექსის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს, კოსმონავტები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, ბიკოვსკი და იენი თავს კარგად გრძნობენ. კვლევა დედამიწიერგველა ორბიტაზე წარმატებით სრულდება.

ფრუნზის მართვის ცენტრი, 29 აგვისტო. (საკადეს). საერთაშორისო ეკიპაჟი — ვლადიმერ კოვალიონოკი, ალექსანდრე ივანჩენკოვი, ვალერი ბიკოვსკი და ზიგმუნდ იენი განაგრძობენ კვლევასა და ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებას „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტულ კომპლექსში.

კოსმონავტთა სამუშაო დღე დაიწყო დღეს დილის 8 საათზე.

სამედიცინო გამოკვლევების პროგრამის შესაბამისად ვლადიმერ კოვალიონოკმა და ალექსანდრე ივანჩენკოვმა აუტონომიური მიკროანალიზატორი სამუშაოებად აიღეს სისხლის სინჯები, რომლებსაც დედამიწაზე ჩამოიტანენ ლაბორატორიული ანალიზებისათვის.

დღეს „შენაერთობისა“ და „კრისტალის“ დანადგარებზე მთავრდება კოსმოსური მასალათმცოდნეობის ორი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

კომპლექსში გრძელდება ერთობლივი სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები უწონობის პირობებში მიკროორგანიზმების განვითარების შესწავლის მიზნით.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ვალერი ბიკოვსკი და ზიგმუნდ იენი დედამიწაზე „სოიუზ-29“ ხომალდით დაბრუნდებიან. დასაბრუნებლად ხომალდის მომზადების დროს კოსმონავტებმა მოაზდინეს „სოიუზ-31“ ხომალდის სავარძლების ინდივიდუალური ლოკემენტების დემონტაჟი და ისინი „სოიუზ-29“ ხომალდის დასაშვებ ადგილზე.

დღეისათვის დაგეგმილია საბორტო პრესკონფერენცია.

გუშინ მოწყობილი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებით ვალერი ბიკოვსკისა და ზიგმუნდ იენის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. საერთაშორისო ეკიპაჟის ყველა წევრი თავს კარგად გრძნობს.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე:

არის მრი მილიონი კუბური მეტრი!

28 აგვისტოს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა კაშხალის ტაწში ჩადეს მეორმილიონე კუბური მეტრი მონოლითი და ვადამდე შეასრულეს მშენებლობის მორიგი ეტაპი.

ახლა კაშხალის სიმაღლე თითქმის 150 მეტრია და მისი დაწნევა აღემატება ქვეყნის ჰიდროენერგეტიკის ფლაგმანების — კრასნოიარსკისა და ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურების შესაბამის პარამეტრებს. ბეტონის ხარისხს აქ ამოწმებს ყველაზე მკაცრი კონტროლიორი — მოთვინიერებული მთის მდინარის ნაკადი. კაშხალი წარმატებით აბარებს პასუხსაგებ გამოცდას.

კაშხალში მეორმილიონე კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმის უფლება მოიპოვა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც რაიკო აგაია მეთაურობს. მან ეს გამარჯვება მოიპოვა სამშენებლო-სამონტაჟო ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფების მოწინავე კოლექტივებთან ძნელ შრომით მეტოქეობაში. მან ეტაპობრივ შეჯიბრებაში ერთხელ და ორჯერ როდი გაიმარჯვა. სწორედ ამიტომაც ბრიგადას მიენიჭა უფლება ჩაესხა მემილიონრვაასიათასე და მემილიონცხრაასიათასე კუბური მეტრი ბეტონი.

ჩინებულად იშრომა მაღლივი კაშხალის მშენებლთა მთელმა კოლექტივმა. შესრულდა ხუთწლედის სამი წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა! ვადამდე დაძლეული მიჯნა, რომელიც დასახულია სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლები დღეს კიდევ ერთ შრომითს გამარჯვებას აღნიშნავენ — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობაში ჩასხმულია ხუთი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი.

დღეს საღამოს დაბა ჯვარზენის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლთა ახალ დიდ გამარჯვებას.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ჯანჯღავამ მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს კოლექტივს გადასცა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. „ენგურჰესმშენის“ სამმართველოს უფროსმა მ. ციხკარიშვილმა ამავე სამმართველოს, როგორც მიმდინარე წლის, მეორე კვარტლის შედეგებით გამარჯვებულს, შესაბამად გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს აღკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც ენგურის მშენებლობა დაჯილდოებული.

ენგურის კასკადის მშენებელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით.

თ. ჯიბუტი,
(საქინფორმის კორ.).

სურათებზე: (მარცხნივ) საიუბილეო მეორმილიონე კუბური მეტრი ბეტონის ჩადებისადმი მიძღვნილი მიტინგი; შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიკო აგაიას ბრიგადის წევრები.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყურადღება!

საკვების დამზადების ტემპი არადამაკმაყოფილებელია

□

მთელი ძალები — ჩამორჩენის აღმოუხვრას!

მიმდინარე წლის უამინდობამ შეამჭიდროვა თესვის ვადები, გაართულა საკვებმომამზადებელთა მუშაობა. ახლა თიბვის გეოგრაფია ვრცელია: საკვების დამზადება პრაქტიკულად რეპუბლიკის ყველა კლიმატურ ზონაში მიმდინარეობს.

მაგრამ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მთელ რესპუბლიკაში უხეში საკვების დამზადების მხრივ ბესული წლის მაჩვენებლებთან შედარებით დიდი ჩამორჩენაა. მაგალითად, აგვისტოს დამლევისათვის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სახელმწიფო ნაწარმოებმა დაამზადეს 100 ათასი ტონით ნაკლები უხეში საკვები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთელი რიგი რაიონების, მეურნეობების ხელმძღვანელები შეურიგდნენ ასეთ უაღრესად არადამაკმაყოფილებელ სიტუაციას, არ იწუხებენ თავს საკვების დამზადების ტემპის გადიდებისათვის.

ობივა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს მაგალითად, ონის რაიონში. აქ 14.600 ჰექტარიდან ბალახი მოთიბულია 2.850 ჰექტარზე,

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ლენტეხის, მესტიის, ამბროლაურის, ახალციხის, ადიგენის, გორჯომის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში. უკანასკნელ კვირას ხაშურის რაიონში ბალახი მოთიბულია მხოლოდ 17 ჰექტარ ფართობზე ე. ი. დღეში აქ თიბავდნენ 2-3 ჰექტარს. ქარელის რაიონში — 12 ჰექტარზე. ბევრი მეურნეობის მდელოებზე თივა ჯერაც აუღებელია, ის აღრიცხულიც არ არის. მაგალითად, ახალციხის რაიონში თივა აღებულია 6.400 ჰექტარზე, ხოლო აღრიცხულია 1.100 ტონა. ასეთივე სურათია გორჯომის, წალკის ადიგენის რაიონების მეურნეობებში. დიდძალი ნამჯა აუღებელია მარელის, თიანეთის, ხაშურის, გორის, კასპის, დუშეთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყოველივე ამის გამო მკვეთრად მცირდება საკვების ხარისხი, იზრდება დანაკარგები.

თიბვის პერიოდის პირველი წახვეთის გაკვეთილები პარტიული, საბჭოთა სახოფლო-სამეურნეო ორგანოების სერიოზული ყურადღების საგანი უნდა გახდეს. მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკითხოთ იმათ, ვისი მიზეზითაც ირღვევა მდელოებზე ხამუშაოთა გრაფიკები. ირღვევა მწვანე კონვეიერის რიტმი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

29 აგვისტოს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ახორციელებს რა ამას წინათ მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საბჭოს არჩევნების კანონის დებულებებს, პრეზიდიუმმა განიხილა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მოიგება არჩევნების მოამზადებისა და მოწყობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებენ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის ხალხური ხელოვნების სამინისტრო ხელმძღვანელობის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესრულებასთან და მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან.

პრეზიდიუმმა მოიწონა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საეგგმო-სანდაღლტო კომისიებისა და სახალხო მოხმარების საქონლის კომისიების წევრ დეპუტატთა მიერ გაწეული მუშაობა და ამ კომისიათა მასალები გადაეგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განხილვისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

პრეზიდიუმმა იმსჯელა საკითხზე, თუ როგორ მუშაობენ კრასნოიარსკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის. მოიწონა რა მუშაობის დადებითი გამოცდილება, პრეზიდიუმმა ქვეყნის ყველა სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობის ფორმები და მეთოდები, განსაზღვრა ამ მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ვ. კარიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რაშიდოვი და სხვა დეპუტატები.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაბანოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი. (საკადეს).

მეგობრულ ვიზიტად

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 29 აგვისტოს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ხადამი.

აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საკადეს).

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 139

1.

ეროვნათა დონეზე

აქამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილებათა შესრულების საქმეში კონტროლის ორგანოების ამოცანების შესახებ ამხჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

ივლისის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდგომ პერიოდში ქვეყნის სოფლის მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზაზე.

მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. მთელ რიგ მეურნეობებში მცირეა მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზარას, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხალის, ყურძნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და მოვლა-შენახვის ორგანიზაციაში ხარვეზები ნაკლოვანებების გამო კვლავინდებურად დიდია დანაკარგები.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ იყენებენ ყველა იმ რეზერვს, რომლებიც აქვთ მეცხოველეობის განვითარებისათვის. განსაკუთრებით ხორცის წარმოებაში. პრიუტუვის გარკვეული ნაწილი, რომელიც ხორცკომბინატებს ბარდება, არ არის გასუქებული და მცირე წონისაა. დიდი რაოდენობით იკლება ხბოები, მცირეა წველადობა, დიდია სიბერწე, არ მცირდება შრომისა და საკვების დანახარჯები, სერიოზული ჩამორჩენაა საკვების წარმოებაში.

ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების, ტექნიკისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენებაში. უყაირათოდ იყენებენ სასუქებს, მელიორირებულ მიწებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაიკალა აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს საქალაქო და რესპუბლიკის ყველა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტებს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიმუშაონ და დაამტკიცონ გეგმა-ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების მოთხოვნებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილების განხორციელად განხორციელებისადმი მუდმივმოქმედი კონტროლის დაწესებას.

პერიოდულად უნდა მოეწყოს რეიდები, დათვალიერებები და მასობრივი შემოწმებები, თუ როგორ იცავენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნებს. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება სარწყავი და დაშრობილი მიწების, შხამქიმიკატების, მინერალური და ორგანული სასუქების დანიშნულებით გამოყენებისადმი.

უნდა შეიქმნას შეუწყნარებლობის ატმოსფერო იმ პირთა მიმართ, ვისი დანაშაულითაც ფუჭდება და ნაადრევად გამოდის წყობიდან ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ვინც არღვევს ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის წესებს, უგულგულოყოფს მატერიალურ ზარალებს, საწვავ-საპობი, საშენი და სხვა მასალების მომჭირნეობით და დანიშნულებით ხარჯვის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

2.

გეგმა კანონია

არ იცავენ დადგენილ ასორტიმენტს

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში „1976-1980 წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების განვითარებისა და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგებზე იმსჯელა კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

გარკვეული მუშაობაა გაწეული მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების მოცულობის გაფართოების, ასორტიმენტის გაფართოების, განახლების და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 6 თვეში 100 მილიონი მანეთის საქონელია წარმოებული, რაც 8,6 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

მაგრამ ზოგიერთ სამინისტროში, გაერთიანებასა და საწარმოში შეურიგდნენ დადგენილი ასორტიმენტით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის შეუსრულებლობას, რის გამოც ვერ უზრუნველყოფენ ამ საქონლის სრულად მიწოდებას სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთების შესაბამისად. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი — მ. მაღრაძე) შარშან მასობრივი მოთხოვნის საქონლის 45 დასახელებიდან, გეგმა ვერ შეასრულა 28 სახეობაში, ხოლო წლეულს 6 თვეში — 19 დასახელებაში. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი — გ. გამცემლიძე) შარშან ასევე ვერ შეასრულა 11 დასახელების საქონლის წარმოების გეგმა (31 დასახელებიდან), წლეულს 6 თვეში კი —9 დასახელებისა. ამავე სამინისტრომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმის შესრულებას 16,6 მილიონი მანეთის საქონელი დააკლო, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 750 ათასი მანეთისა.

დღემდე არ შეუსრულებიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალება მასობრივი მოთხოვნის პროდუქციის ატლანტიკის შესახებ ქარხანა „საქმონფლმანქანას“ (მთავარი ინჟინერი — ო. კიკნაძე), თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას (დირექტორი — ჯ. მანჯგალაძე, მთავარი ინჟინერი — გ. ვახანია) და მეორეული ფერადი ლითონების რესპუბლიკური სამმართველოს ბაზას (უფროსი — კ. ხაჭაპურიძე).

სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად მოწყობილი შემოწმების დროს საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოო გაერთიანებაში სტანდარტებისადმი შეუსაბამობის გამო აიკრძალა სამი დასახელების პროდუქციის რეალიზაცია, რომლის ღირებულება 28 ათას მანეთს შეადგენდა. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში მასობრივი მოთხოვნის საქონელს — ბაღის სკამებს, ტრაპს, სახარაზო თაროსა და სამსხვრეველას ამზადებენ დადგასული ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ასორტიმენტის განახლებისა და გაფართოების, აგრეთვე გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების შესწავლის საკითხებში არაობიექტურობის გამო არ საღდება და ჩაწერილია. საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოო გაერთიანებაში 223 ათასი, ნნორის მექანიკურ ქარხანაში — 17,4 ათასი, თბილისის № 1 და № 2 მექანიკურ ქარხნებში — შესაბამისად 45,6 და 36,9 ათასი მანეთის პროდუქცია.

მზა ნაწარმის აღრიცხვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, ინვენტარიზაციების ფორმალურად მოწყობისა და უნიბრალოდ ბალანსებზე ასახული ნაკლოვანებებიდან ერთ-ერთ-ორ-ორ-ერთ-ერ

გულგრილობა. უმოქმედობა

გარემოს დაცვას უგულოდ ეკიდებიან

□

ზღვის, წყალსატევების, მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვას, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებას და ამ საკითხებზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას მიეძღვნა აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სპეციალური სხდომა.

ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას იჩენენ დადგენილებათა შესრულებისადმი. ამის შედეგად ზღვა, წყალსატევები, მდინარეები და ჩამდინარე წყლები ისევ ბინძურდება, რასაც დიდი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, რკინიგზის ბათუმის სატვირთო სადგურის ტერიტორიაზე გამავალ სანიაღვრო კოლექტორში ნავთობპროდუქტების შემცველობა 13-ჯერ აღუმატება ნორმას. ბათუმის ნავთობბაზაში უმოქმედოდ არის ჩამდინარე წყლების სატუმბავი მოწყობილობა, ქიმიური ქარხნის ნავთობდამჭერი მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას. უფრო კურიოზული მდგომარეობაა თეზეერის ფლოტის სამმართველოში, იქ საერთოდ არ იყენებენ ასეთ მოწყობილობას, თითქოს მათ არც ეხებოდეთ ბუნების დაცვა. ასევე უმოქმედოდ არის პანსიონატ „მწვანე კონცხის“, „მახინჯაურის“ დასასვენებელი სახლის, მწვანე კონცხის ტურბაზის გამწმენდი ნაგებობები. ეს ობიექტები საკურორტო ზონაშია. ობიექტთა მესვეურების უმოქმედობით ბუჭყიანდება ის ადგილები, რომლებითაც დამსვენებლები სარგებლობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მათ ნაკლებად აღელვებთ.

ზბამქიმიკატების შენახვისა და ხსნარის შემზადების წესებს არღვევენ ქობულეთის რაიონის ალამბარის, ზეკა ულიანოვკის, მუხაისტატეს, ხელვაჩაურის რაიონის ჭარნალისა და სხვა კოლმეურნეობებში. ნელი ტემპით მიმდინარეობს ბათუმის კანალიზაციის გაწმენდილ ნაგებობათა მთავარი სატუმბი სადგურისა და კოლექტორების მშენებლობა.

სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ორგანიზაციებისა და უწყებების სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები არ იჩენენ საჭირო აქტიურობას წყალსატევების გაჭუჭყიანებას თავიდან აცილებლად.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 139

უკანონო გზის დასასრულელი

უხეში დარღვევები „აჭარწყალგვაჭრობის“ მაღაზიებში

შემოწმებით „აჭარწყალგვაჭრობის“ ობიექტებში მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოჩნდა. სახალხო კონტროლის კომიტეტმა თებერვალში განიხილა მოკვლული ლოსის მასალები და კონკრეტული ღონისძიებები დასახა. მაგრამ მომხდარი ფაქტებიდან „აჭარწყალგვაჭრობის“ ხელმძღვანელებს (უფროსი — ა. ციხაძე, ბუღალტერი — გ. წულაია) საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ და ისევ სახიფათო გზას გაჰყვნენ.

მაისში განმეორებით მოეწყო შემოწმება. № 3 მაღაზიაში (ყოფილი გამგე — თ. ნაკაშიძე) გამოვლინდა მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, გარდა ამისა 31.579 მანეთის აღურიცხავი, უფიქტური სასკოლო-საკანცელარიო და სხვა სახის ხაქონელი. მეცაცხი ზომების ნაცვლად ა. ციხაძე ხელს უწყობდა თ. ნაკაშიძეს. უკანონო გზით დიდი რაოდენობით შემოუზიდათ სასკოლო-საკანცელარიო საქონელი.

სოსტა საუწყვიერო კონტროლის გამო დიდი იყო ზენორმატიული ნაშთი, არ ტარდებოდა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, უხეშად ირღვეოდა სასკოლო-საკანცელარიო საქონლის თვითშესყიდვის წესები.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისა და სხვა სერიოზული ნაკლოვანებებისათვის აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა „აჭარწყალგვაჭრობის“ განყოფილების უფროსი ა. ციხაძე გადაყენა თანამდებობიდან.

ო. კეჟეხმაძე,
აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

საგუთეგი მაუდის ქვეშ

როცა საშემსრულებლო დისციპლინა მოიკოჭლებს

ამას წინათ სამტრედიის სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული განკარგულებებისა და დავალებების, აგრეთვე საკუთარი ბრძანებების შესრულების მდგომარეობა. დადგინდა, რომ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ბიუროკრატიზმისა და უპასუხისმგებლობის ფაქტები. მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას მოითხოვენ, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. წლეულს სამტრედიის სარაიონთაშორისო საბითუმო ბაზაში (დირექტორი — ს. გოგია) ცეკავშირის გამგეობიდან მიღებულ № 516 დადგენილება — „ოპერაციის სისტემაში დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისა და საგეგმო-ანალიზური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, აგრეთვე „რესპუბლიკის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ბოროტმოქმედებისა და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. თითოეული ამ დადგენილების მნიშვნელობა უდავოა. განა შესაძლებელია რომელმე ორგანიზაციის, თუნდაც ცეკავშირის სამტრედიის საბითუმო ბაზის წარმატებებზე საუბარი სრულიფოფალი დაგეგმგვისა და პრაქტიკული საქმიანობის ღრმა ანალიზის გარეშე?

იმის ნაცვლად, რომ ბაზის ხელმძღვანელობას ცეკავშირის გეგმეობიდან მიღებული დადგენილება საქმეებრივ პროგრამად გაეხადა, განეხილა და დაესახა კონკრეტული გზები მის შესასრულებლად, იგი საქალალდეში ჩაკრეს.

ამავე ორგანიზაციაში ცეკავშირის გამგეობიდან მიღებულ დადგენილება — „ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციებში კონტროლისა და საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგებისა და ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ“. ნინა დავალებებიდან განსხვავებით ეს დადგენილება საწარმოო თათბირზე განხილულს, მაგრამ ფორმალურად, ეალის მოხდის მიზნით, ისე, რომ ოქმიც კი არ გაუფორმებიათ.

ამ მხრივ სარაიონთაშორისო საბითუმო ბაზა გამონაკლისი არაფერი. ასეთივე მდგომარეობა სამტრედიის საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების დირექციებიც (დირექტორი — კ. თოფურია). აქ სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული ცალკეულ მუშაკებზე გაპიროვნებული წერილებისა და საჩივრების განხილვისადმი, ამასთან ძნელი დასადგენია, რომელი დავალება შესრულდა და რომელი დარჩა შეუსრულებელი.

საქმიანი ქაღალდებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისი მეთოდი აქვთ შემუშავებული ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის მუშაკთა მომარაგების განყოფილებაში (უფროსის მოგალეობის შემსრულებელი — კ. გაგუა). დავალებების, განკარგულებებისა და დადგენილებების სურვილისამებრ ერთმანეთისთვის გადაცემა აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგალითად, საქონელმცოდნე ს. მინაშვილს შესასრულებლად ჰქონდა მუშაკთა მომარაგების განის სამმართველოს უფროსის განკარგულება კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონლის საბაზრო ფონდების მოწესრიგების შესახებ, მან კი იგი მეორე საქონელმცოდნეს ო. ახობაძეს დაუწერა. ეს ბრალეული ამით დამთავრდა. რომ დავალება ფაქტიურად შეუსრულებელი დარჩა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის მუშაკთა მომარაგების განყოფილებაში საქმე იქამდე მივიდა, რომ საკუთარ ბრძანებებსა და განკარგულებებსაც კი არ ასრულებენ. კარგახანია, რაც ვაჭრობის წესების უხეში დარღვევებისათვის № 88 მაღაზიის გამგე შ. ლევაშვილი სამუშაოდან გაათავისუფლეს, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე აღმორჩნდა. იმ მოტივით, რომ „კაცი ვერ ეიშოვეთო“, რამდენმე თვის მანძილზე მაღაზია არ გადაბარებენ. ასევე დაგვიანებით მოიყვანეს სისრულეში № 27 პავლიონის გამგე-მებუფეტე ა. ქიბუცაძის განთავისუფლების ბრძანებაც.

სამტრედიის სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა მომარაგების განყოფილების უფროსის მოგალეობის შემსრულებლის კ. გაგუას, სამტრედიის ცეკავშირის საარაიონთაშორისო საბითუმო ბაზის დირექტორის ს. გოგოლას და სამტრედიის რკინიგზის საგზაო რესტორნების უფროსის კ. თოფურიას შესახებ და მეცითია.

ბ. ფოცხვერაშვილი,
სამტრედიის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

მეცხვარეებმა იმარჯვეს

ასე იბრძვიან კონტროლიორები მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის

სახალხო კონტროლიორები ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებას თითქმის ყველა უბანს სწვდებიან. მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში. შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, საკოლმეურნეო დოვლათის დაცვაში. კონტროლიორებად არჩეული არიან წარმოების მოწინავენი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი ადამიანები.

წლეულს სახალხო კონტროლის აკადემიის ფაკულტეტზე ერთ-ერთ-ერთ-ერთ-ერთ-ერთ-ერთ-ერ

ნელს ცოტა საზრუნავი როდი აქვთ ჩხოროწყუს რაიონის ჭოლის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლიორებს. ისინი თითქმის სულ ჩაის პლანტაციებში ტრიალებენ, გულდასმით და ყურადღებით ადევნებენ თვალს, რომ ხახელმწიფოს ჩაბარდეს საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი, შემჩნეულ ნაკლოვანებებს უმალ მსჯელობის ხაგნად ხდიან.

სურათზე: სახალხო კონტროლიორთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — ლენინის ორდენოსანი მეჩაიე ნ. მიქავა, მ. შენგელია, ჯ. შოგრაძე და გ. თოდუა ამოწმებენ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

გ. გზგზიასა ფოტო.

სახალხო კონტროლის მოქმედებაში

გამოცდილება

მიზანი — ეფექტიანობის ამაღლება

როსტოველი კოლეგების მაგალითი

როსტოვის ოლქის სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და კონტროლიორთა საქმიანობას რომ გავეცანი, თვალწინ წარმომიდგა ის მოუსვენარი მუშაობა, რომელსაც ისინი ახორციელებენ როგორც სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის, ისე საზოგადოებრივი წესრიგის, დისციპლინის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევიან წითელწყაროს რაიონის სახალხო კონტროლის ჯგუფები, საგუშაგოები, ცალკეული კონტროლიორები. მათგან განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ სოფელ ზემო ქედისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობის კონტროლიორები.

ამ წერილში ჩვენს კოლეგებს, მკითხველებს მინდა გავაცნო მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც სახალხო კონტროლის ჯგუფები იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისათვის, მისი რენტაბელობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში.

დასამალი არ არის, რომ ორივე კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორთა 200-კაციანი არმიის წარმომადგენელთაგან ყველა ასე არ მუშაობს, როგორც მოეთხოვებათ. მაგრამ ჯგუფებმა ძირითადად შეძლეს საკონტროლო მუშაობის შეხამება კოლმეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებთან, სათანადოდ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, მოურიდებლად აკეთებენ ნაკლოვანებებს, ბოლომდე იბრძვიან მათი გამოსწორებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ და სტიმულს აძლევენ მათ, მუშაობის ამასთანავე მოითხოვენ მათგან, უპირველეს ყოვლისა კომუნისტებისაგან ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. სახალხო კონტროლიორები თავიანთი სამოქმედო უბნების მიხედვით აღრიცხავენ ყოველგვარ დარღვევასა და ნაკლოვანებას, საფუძვლიანად სწავლობენ და რეაგირებენ მათზე, გადადუღად აყენებენ საკითხებს ჯგუფის სხდომებზე, პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის წინაშე.

მაგალითად, სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის სახალხო კონტროლის დარგობრივმა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა მესაქე ბრიგადაში წველადობის და ძროხის ხარისხის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ჭირუტყვის კვება არ ხდება რაციონალურად. პროდუქტიულობის მაჩვენებლები გამოვლინებას თვალსაზრისით, თვეების მანძილზე ძროხის ხარისხი დაბალია, ხოლო მარტში მოწველილი 18 ტონა რძე მხოლოდ მეორე ხარისხისაა. ამით ბრიგადამ მარტო ერთ თვეში კოლმეურნეობას 100 მანეთი შემოსავალი დააკლო. ბრიგადაში შეიქმნა საკონტროლო საგუშაგო, რომლის ხელმძღვანელობა მოწინავე მწველავს ევა პავლიაშვილს დაეევალა. მან ეს საქმე შეიყვარა, ყველა მწველავისგან მკაცრად მოითხოვა სისუფთავე, წესრიგი, და შედეგმაც არ დაიყოვნა. მოწველილი რძის 70 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისა იყო.

სახალხო კონტროლიორები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ აღრიცხვის სარეგორის, პროდუქციასთან დანახარჯების შესაბამისობას. მეოთხეობის მეორე ბრიგადაში საკვების ხარჯვის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ კილოგრამი ხორცის წარმოებას 7-ის ნაცვლად 11,3 საკვები ერთეული მოხმარდა. სულ კი 16.506 საკვები ერთეული იყო გადახარჯული. საკითხი დამატებითი შესწავლისა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებისათვის კონტროლის ჯგუფმა კოლმეურნეობის გამგეობას გადასცა.

ჩამორჩენისადმი შეურიგებლობის მაგალითად გამოდგება სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის მუშაობა. მეძროხეობის მესამე ბრიგადაში თვეების მანძილზე არ სრულდებოდა ხბოების მიღებისა და გამოზრდის, აგრეთვე რძის წარმოების გეგმები. ჯგუფმა (თავმჯდომარე — გ. პაპუაშვილი) თავის სხდომაზე პრინციპულად იმსჯელა ამ საკითხების შესახებ და განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი, რის შედეგადაც მდგომარეობა ბრიგადაში საგრძნობლად გამოსწორდა.

საკონტროლო მუშაობის ეფექტიანობას, კონტროლიორთა აქტიურობის განაპირობებს მათდამი პარტიული ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, კადრების სწავლება და აღზრდა, მუშაობის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების გამოყენება.

ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევიან სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი, მისი შტატგარეშე საორგანიზაციო მუშაობის განყოფილება.

რამდენიმე ხნის წინათ განყოფილებამ შეისწავლა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის საქმიანობა. აღმოჩნდა, რომ საკონტროლო მუშაობაში მას გააჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, კონტროლიორთა ერთმა ნაწილმა არ იცოდა თავისი უფლება-მოვალეობა. დარგობრივი ჯგუფები ზერელედ, დუნედ ამოწმებდნენ, ღრმად ვერ სწვდებოდნენ საქმის მდგომარეობას. მასალები განსახილველად სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში შეიტანეს. მიზანშეწონილად მიიჩნიეს სახალხო კონტროლიორთა სწავლება. ამ მიზნით მოეწყო სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეების, საგუშაგოთა ხელმძღვანელების, კონტროლიორების, სექტორთა ხელმძღვანელების ზონალური თათბირ-სემინარი.

მუშაობის ასეთმა პრაქტიკამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ინსპექტორებმა გ. რობიტაშვილმა, შ. ლეკაშვილმა, ა. მისაილოვმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახალხო კონტროლიორთა დარაზმვისა და სწავლების საქმეში.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ისმენს კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეებს, საგუშაგოთა ხელმძღვანელებს, შტატგარეშე ინსპექტორების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ეს ამაღლებს მათს პასუხისმგებლობას, მომთხოვნელობას. კონტროლსა და თვითკონტროლს მუშაობაში.

გ. გველუკაშვილი,
წითელწყაროს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგე.

სიმართლე ხუმრობით

□

რისხვა

უკონდუქტორო ავტობუსს
არ ვეკარები ახლოს,
არ მინდა მისმა შოფერმა
რომ წარამარა მთათხოს.
როცა კი ამით ვიმგზავრე,
ნერვები დამწყდა ლამის,
შოფერი ენას გესლიანს
არ აჩერებდა წამით:
„ბილეთებს რატომ არ
იძენთ,
ავრემც შეგირცხვათ
თავი“. —
ქუხდა ხალონში ცისმარე
ხმა უკმეხი და ავი. —
„რამ დაგაკარგათ სინდისი,
ხად გაურბიხართ შაურს“. —
კონტროლით გვაშინებდა და
ტეხდა ერთ აურზაურს.
შეშფოთებული მგზავრები
კაბინას ვხვრეტდით თვალით,
ასე კოხტად რომ
გვამკობდა
და არ გვიძღოდა ბრალი.
შოფრის საყვეღურს არადა
ალარ დაადგა შველა,
თუმცა სამგზავრო ბილეთი
ნაყიდი გვქონდა ყველას.
როგორც ვთქვი. იმ
ავტობუსში
მე ალარ ვჯდები მეტად.
მაგრამ, გეთაყვაო. ხხუა
მგზავრებს
რა ეშველებათ ნეტავ?

შ. ამირანაშვილი.

ხალხის ფხიზელი თვალი

ხალხიანი კონტროლიორები, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, მოვალენი არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ ხალხის დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის, გვიჩვენებდნენ მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის ნიმუშს.

მთეგიდან არ ჩამოსულან

საიუბილეო გასტროლები

მარჯანიშვილელები ბათუმში

ბათუმში ნამდვილი თეატრალური დღესასწაულია — აქ საგასტროლოდ იმყოფება თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. მარჯანიშვილელები ბათუმელთა იშვიათი სტუმრები როდი არიან, მიუხედავად ამისა, მათ ყოველ ჩამოსვლას მუდამ უდიდესი სიხარული მოაქვს.

ახლანდელი გასტროლები ბათუმში საიუბილეოა და თეატრის ორმოცდამეათე წლისთავს ეძღვნება.

საიუბილეო გასტროლების დროს მარჯანიშვილელები ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე აჩვენებენ ცხრა სპექტაკლს, მათ შორის არის ბოლო წლების ყველა საუკეთესო დადგმა — „ოიდიპოს მეფე", „სბრალდებო დასკვნა", „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ეზოში ავი ძაღლია", „ძველი ვოდევილები" და სხვ.

გასტროლები 3 სექტემბრამდე გაგრძელდება.

„კომუნისტის" ხაკ. კორ.

ჯილდო — ქართულ ფილმს

ქართულ მხატვრულ ფილმს „ქალაქ ანარას", რომელიც გადაიღო რეჟისორმა ი. კვირიკაძემ, შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში გამართულ 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოკრიტიკის საერთაშორისო მთავარი პრიზი მიენიჭა.

ეს ფილმის მეორე ჯილდოა. შარშან გაბროვოს კომედიური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ამ კინოსურათმა მიიღო მთავარი პრიზი „წლის საუკეთესო კინოკომედია".

„ქალაქი ანარა" ი. კვირიკაძის პირველი სრულმეტრაჟიანი სურათია, მანამდე მან შექმნა პოპულარული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქვეყრი" და მრავალი დოკუმენტური ფილმი. (საქინფორმი).

„კომუნისტის" კალენდარი

ბავშვთა მოამაგე

60 წელი შეუსრულდა ქართული პედიატრიის თვალსაჩინო მოღვაწეს, შესანიშნავ პედაგოგსა და მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ირაკლი ფაღავას.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა ი. ფაღავა ბავშვთა პათოლოგიის საკითხებით. უკანასკნელ კურსზე ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა ბავშვთა სნეულებების კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, კათედრის მიერ მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში, რაც შეუნიშნავი არ დარჩენია პროფესორ მ. ყარელიძეს და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ლატვიის ბავშვთა სნეულებების კათედრის ასისტენტად, 1942-1946 წლებში იგი კათედრის ასისტენტია. 1946-1956 წლებში — დოცენტი, 1956-1960 წლებში — პროფესორი, ხოლო 1960 წლიდან დღემდე — ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგე.

1967 წლიდან პროფესორი ი. ფაღავა ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიას სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს, წლების განმავლობაში ი. ფაღავა შუშაობდა თბილისის მთავარ პედიატრად, რესპუბლიკის მთავარ პედიატრად. ამასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, პროფესორი ი. ფაღავა არის საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, საკავშირო პედიატრთა საზოგადოების გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" და „დიდი საბჭოთა მედიცინო ენციკლოპედიის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ კოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მშობელთა უნივერსიტეტის რექტორი...

შემოქმედის სიცოცხლე წლებით არ იზომება. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე ი. ფაღავამ 150 სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია და სახელმძღვანელო გამოაქვეყნა, რომელთა უმრავლესობა პედიატრიის აქტუალურ საკითხებს ეხება.

პროფესორმა ი. ფაღავამ მოგვაწოდა სისხლის წნევის ასაკობრივი ნორმები და მიუთითა სისხლის წნევის ტრანზიტორულ მატებაზე ბავშვთა ასაკში, საფუძველიანად შეისწავლა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დარღვევა პნევმონიების დროს და დასაბუთა აეროთერაპიის დადებითი გავლენა. მის მკურნალობაში, შენიშნა ზუგრის ტვინის ლოზისური უნარის დაქვეითება ტუბერკულოზური მენინგიტის დროს და საბჭოთა კავშირის მაშტაბით. პირველმა მიაპყრო ყურადღება დედასა და ბავშვს შორის სისხლის ჯგუფური შეუთავსებლობის მნიშვნელობას ბავშვთა ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში.

უკანასკნელ წლებში მისი ინიციატივით კათედრაზე საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა ბავშვის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლა ალერგიულ და ინფექციურ-ალერგიულ დაავადებათა დროს, რაც ახალ ეტაპს მოასწავებს როგორც ქართულ, ისე საბჭოთა პედიატრიაში. პროფ. ი. ფაღავას მონოგრაფიებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „პედიატრიის ცნობარი" და სახელმძღვანელო „ბავშვთა დაავადებანი" (ტ. 1).

პროფესორის, დაწყმოსილი მეცნიერის დამსახურებაზე მეტყველებს „შრომის წითელი დროშა" და „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალრიცხოვანი მედლები. 1954-1956 წლებში იგი არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

შემოქმედებითი ძალებით აღსავსე ამაგდარი მეცნიერი ი. ფაღავა ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს თავის ნაყოფიერ შრომასა და პოღვაწეობას.

ც. ფოფოაძე,
პროფესორი.
კ. ვირსალაძე,
პროფესორი.
ნ. ხერხეულიძე,
პროფესორი.

„კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტი

ბავშვობა



ბავშვობა ... ეს ... ბავშვობა ... ეს ... ბავშვობა ... ეს ... ბავშვობა